საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი

№ 2-8069/22
06.06.2022

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ დაჩქარებული წესით განიხილოთ საქართველოს პარლამეტნის წევრების: დავით სონღულაშვილის, გოჩა ენუქიძის, ეკა სეფაშვილის, ვასილ ჩიგოგიძის, ელგუჯა გოცირიძის, გელა სამხარაულის, ირმა ზავრადაშვილის, რამინა ბერაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი.

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არსებითად მნიშვნელოვანია რიგი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. კერძოდ, შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი გადასახადის გადამხდელების მიმართ 2022 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილია აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები და აღნიშნული საგადასახადო ვალდებულებების გათვალისწინებით ხდება შესაბამისი საურავების დარიცხვა.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია წარმოდგენილი კანონპროექტის მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მიღება, რათა ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირებს მიეცეთ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობა.

დავით სონღულაშვილი	
გოჩა ენუქიძე	
ეკა სეფაშვილი	
ვასილ ჩიგოგიძე	
გელა სამხარაული	
ირმა ზავრადაშვილი	
რამინა ბერაძე	
ელგუჯა გოცირიძე	